პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2023 წლის ----- დეკემბერი, ქალაქი ბათუმი

**ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N131-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N05.26.01.089 და N05.26.01.095) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის" მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N131-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N05.26.01.089 და N05.26.01.095) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.26.01.089) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) $კ^{1/2}$ მაჩვენებლის 10%-ის ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4 . განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

**განმარტებითი ბარათი**
**პროექტის სახელწოდება და სათაური**

**ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N131-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.26.01.089 და N05.26.01.095) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ"**
**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მომართა შპს ,,ბაგრატიონის რეზიდენსმა'' და მოითხოვა ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N131-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N05.26.01.089 და N05.26.01.095) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსებულია საზოგადოებრივი ობიექტი, მის სანაცვლოდ დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, გამწვანების მოწყობა და სათანადო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით დაგეგმილია მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით 05.26.01.089 ქალაქმშენებლობის პარამეტრის, კერძოდ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის სიდიდის ცვლილება/გაზრდა დადგენილი 4,6-დან 9,5-მდე, ასევე მაქსიმალური სიმაღლეების და სხვა პირობების განსაზღვრა.

**ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:**

ვ დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღება.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარ-ჯების დაფინანსების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე – არ გამოიწვევს.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ(ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**

**ქალაქგანვითარებისა და ურბანული**

**პოლიტიკის სამსახურის უფროსი გიორგი წანაწყენიშვილი**